1915

Ш. Я. КИКОЛАДЗ

№ 1

11 იანვარი. 1915 წ.

მიიღება ყოველ ორშაბათს

წლიური ფასი

5 მან.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲥᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲪᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 10 ᲙᲐ�პ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲦᲘᲐᲐ 9—3 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კვლდ“. დეპეშისა: თბილისი კვლდ.

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ: 1) ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიკა. — რ. გ—ელი. 2) ჩვენ სუნჯოა მთავარი საკითხი. — ქართელელისა. 3) შობა დამეს. — ეკ. გაბაშვილისა. 4) შეედობიანობა. — დეკანი ი. მჭედლიშვილისა. 5) ვატარა ფედერალი. — ნაცარისა. 6) ქრონიკა. 7) ერთი მოწერილობის გამო. — თ—ელისა. 8) ვასუხად „კვლ. სლოგანს“. 9) შეეურეთ გასაჭირი. — X—ისა. 10) ქართული ერთგნული ჩაცმულობა. — ვინმე სოფლელისა. 11) ძველი თქმულება. — ან-ბანისა. 12) „ბრძენული ქალი“. — დიოგენისა.

ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიკა.

უკანასკნელ დროს ქართულ პრესაში კიდევ აღიძრა საკითხი ნაციონალიზმის და ინტერნაციონალიზმის ურთიერთობაზედ და ისევ ისეთსავე უცნაურს შეხედულებას გაიგონებთ, როგორც ამ ათის წლის განმავლობაში; თითქო ცხოვრებაც და მისი დიადი მოვლენაც ჩვენს პრესაზედ გავლენას არ ახდენენ. ერთის მხრით ეს საგულისხმოა, რადგან პრესა ცხოვრების სარკეს უნდა წარმოადგენდეს და მაშასადამე მისი ცვალებადობის ანარეკლს ნათლად ვეიჩვენებდეს და მეორე მხრით — სასიხარულოც აა, რადგან ამტკიცებს ჩვენი პრესის სიფაქიზეს და რწმენის სიწმინდეს, რომელიც ისე ადვილად არ იცვლება ხოლმე, თუნდა თვით ცხოვრების ფაქტორებიც შეიცვალონენ.

ამ მხრივ ყურადღების ღირსია ის კამათი, რომელიც სწარმოებს „სახალხო ფურცლის“ და „ახალი ცხრის“ **თანამშრომელთა** შორის. „სახალხო ფურცელი“, რომელიც უარჰყოფს თავის ოფიციალობას ს.-დემოკრატიულ ფედერალისტთა მიმართულებისას, ლიბერალობს ვ. ჭიჭინაძის პირით და „ინტერნაციონალის დამსხვრევას“ აღიარებს ეროვნული იდეა წინაშე; „ახალი ცხრა“ ოფიციალურად იცავს ინტერნაციონალს და ჰგმობს ნაციონალისტებს, თუმცა მისი თანამშრომელნი შესაძრნევად იხრებიან ეროვნული საკითხის საბოლოო და სამართლიან გადაჭრისაკენ.

რა აზრის მიზეზი ესეთის ორევ-დარევისა და საადაა ის **ეროვნული ხაზი**, რომლის შეუშრნეველობა დღემდის აფერხებდა ჩვენს წინსვლელობას და აშფოთებდა პარტიათა ერთი-ერთობის?

F65

ამის მიზეზი ბევრია, რასაკვირველია, როგორც ზერელე და ხელოვნური, ისე პრინციპიალური და ძირითადი; უკანასკნელთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ თითქმის უარყოფამდე შეიძლება მათი ჩამოყვანა.

საერთაშორისო ასპარეზზედ ვაწარმოებული სოციალ-დემოკრატია, უმთავრესად ეკუთვნის ისეთ დიდ ერებს, როგორიც არის გერმანია, რუსეთი და სხ. იგი ძალაუნებურად ანვითარებს თავის ფარგლებში ისეთს შეხედულებას, რომელიც შეეგუება დიდს სახელმწიფოს, დიდს ერს, რომელსაც საფრთხე არა მოელის რა და მაშასადამე მის არსებობაზე, ე. ი. მის ეროვნულ არსებულ იერიშის მიტანა შეუძლებლობას წარმოადგენს. დიდი ერის დემოკრატიულ ნაწილს ჩვეულებრივ დროს თითქმის ეკარგება ეროვნული აღლოც კი, რადგან ეს მხარე სრულიად უზრუნველყოფილია და აი სწორედ ამ დროს იღვიძებს ნამეტანის სიმწვავით კლასთა ბრძოლა, როგორც გამომხატველი სოციალური უსამართლობისა. სოციალური უსამართლობა თითქმის ყველგან ერთგვარია და რაღა თქმა უნდა ერთგვარი კლასები სხვა და სხვა ერისა, პროგრესიული იქნება იგი თუ რეაქციონური,—ერთმანეთს ხელს უწვდიან საერთო მტერთან საბრძოლველად.

ასეთ დროს, როდესაც დიდი ერები გართულნი არიან დიდ სოციალურ საკითხებში და მათი შინაგანი ბრძოლა იღებს ბევრჯელ უმწვერვალესობამდე მისულ ხასიათს, რაღა თქმა უნდა, იჩრდილება პატარა ერების რაღაც პატარა, ეროვნული ტანჯვა-ვაებანი; მათს ხმას, რაღაც დისონანსიც კი შეაქვს დიდს სოციალურ კონცერტებში და **დიდი ერის მოციქულნი** ამ ეროვნულ ხმებში ხედავენ ბოროტებასაც კი, აერქმევენ სასტიკ სახელებს და სცდილობენ ჩააჩუმონ ისინი, ვინაიდან მთავარი საკითხები გადაუწყვეტელია ჯერა. მოიგონეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატია, რომელიც შოვინიზმად, ნაციონალისტებად და თითქმის შავრაზმელებადაც, სახავდა მაგ. „ბუნდის“ გამოსვლას და ქართველ სოციალ-დემოკრატებს ხომ პირდაპირ აუკრძალა ეროვნულ საკითხზედ ხმის ამოღებაც.] ასევე იქცევა გერმანიის სოციალ-დემოკრატია, ოომლის ძალასა წინაშე, ყოველი ეროვნული მოთხოვნილებანი—უნდა უკანა რიგში ჩამდგარიყვნენ.

სულ სხვა სურათსა ვხედავთ ისეთ სახელმწიფოებში, საცა ერები ბევრიცაა და ძალასაც წარმოადგენენ; მაგალითად ავსტრო-უნგრეთში, საცა თავდაპირველად თვით სოც.-დემ. სწყვეტენ საბოლოოდ ეროვნულ საკითხს.

ცალკე პატარა ერთა შეხედულება, სახელმწიფოებრივნი არიან იგინი თუ არა სახელმწიფოებრივნი, იკარგება საერთო ძალთა განწყობილებაში, შეეხება საკითხი სოციალურ თუ [illegible] ერთიერთობას.

ასეთ ჩვეულებრივ, მშვიდობიან დროს, ვითარდებიან მაშასადამე ისეთი ძალები, რომელნიც თითქო სპობენ ეროვნულ საკითხს, რადგან დიდი ერების ეროვნული საკითხი უზრუნველყოფილია და პატარა ერები საინტერესო ძალას არ წარმოადგენენ. ე. ი. სოციალური კლასები და ნამეტნავად სოც. დემოკრატია ითვისებს რეალურად სახელმწიფოებრივ შეხედულებას, თუმცა თეორიაში თითქო ეწინააღმდეგება კიდეც და ყველა ერისათვის თანასწორობას მოითხოვს. ასეთ ჩვეულებრივ დროს თითქო მიყუჩდება ხოლმე ეროვნული ბრძოლა, რადგან მთავარი ძალები—დიდი ერები—სდუმან და მცირენი—რას გააწყობენ. ასეთ დროს იკარგება შემეცნება ინტერნაციონალიზმისაც, ე. ი. **ერთა ურთიერთობისა** და ფეხს იკიდებს კოსმოპოლიტიზმი, ანუ მსოფლიოს მოქალაქეობა. ის იდეები **ერთა** სოლიდარობისა, რომელნიც იბადებიან ერთა ცალკეცალკე განმტკიცების პროცესის დროს, თანდათან გადადიან კოსმოპოლიტიზმში, როდესაც ერები თავის სახე, განამტკიცებენ და არსაიდან საფრთხე აღარ მოელით. ამ დროს ინტერნაციონალისტები უახლოვდებიან კოსმოპოლიტებს.

მაგრამ ჩვეულებრივი მსვლელობა ცხოვრებისა შეიცვლება თუ არა, შეიცვლება თუ არა ის პირობანი, რომელნიც ხელს უწყობდნენ ეროვნულ გრძნობათა და იდეათა მიძინებას—თითქო მართლაც კატასტროფა ხდება და ეროვნება, ერის სახე, თითქმის პირველყოფილ ფორმებს იღებს და განმტკიცებას თხოულობს.

რაღა თქმა უნდა დღევანდელი დიადი ომი ყველაზედ არა ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც ემუქრება სწორედ ეროვნულ არსებობას და ჩვენც ვხედავთ რომ ყოველი ერის შვილი, დიდისა თუ პატარასი, ჰგრძნობს ახლა ამ **ეროვნულ** საფრთხეს და მასში ნამეტანის სიძლიერით გამოიღვიძა ეროვნულმა გრძნობამაც და შემეცნებამაც. ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ ინტერნაციონალი, ე. ი. ერთა სოლიდარობის პრინციპი დაირღვა და შეილახა. პირიქით, ეს უადრესად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერთა სოლიდარობა იქაა შესაძლებელი, საცა

ერნი არსებობენ. დღევანდელი ომი ემუქრება თვით **ერის არსებობას** და გასაკვირველი არ არის, რომ გერი და სემბა ერთის მხრით და ლიბკნეხტი და ფრანკი მეორე მხრით—მოსისხლე მტრებსავით ერთმანეთს ოოფს ესვრიან. ვანდერველდე, ერვე და სხვანი, მათი პარტიების მთელი შემადგენელობით მოწინააღმდეგეთა ბანაკში არიან არა იმიტომ, რომ ამით ღალატობენ ინტერნაციონალის იდეას, არამედ ისინი ამ იდეას განამტკიცებენ თვით ნაციების ფარგლებში. დაიმსხვრა მხოლოდ კოსმო-პოლიტიზმის იდეა, რომელიც დაფუძნებულია ხელოვნურ და მხოლოდ მოფიქრებულ აზრებზე.

დიდი ერების ეროვნულ გრძნობათა და იდეათა გაშოლვიძებას, რასაკვირველია, მოჰყვა პატარა ერების გრძნობა-იდეათა გადახალისებაც, რადგან საერთოდ. რომელიც პატარა ერებს ელოდა მშვიდობიან დროსაც კი მტრისაგან (ე. ი. დიდი ერების რეაქციისაგან) და მოყვარისაგანაც (ე. ი. დიდი ერის დემოკრატიისაგან)—დღეს გაათკეცდა და მეტად საშიში გახდა.

პატარა ერებმა ნამეტნავად შეიგნეს ძალა შინაგანი ერთობისა და დღეს ყველგან საბოლოოდ მიმწყდარია დავა კლასობრივი, წოდებრივი და სხ., რაც ჩვეულებრივ დროს ცხოვრებას ხან შხამავს და ხან სიცოცხლესაც აძლევს. მაგრამ ეს მოსპობა დავისა სულაც არ ნიშნავს მოსპობას ამ დავის მიზეზებისას და როდესაც ქარიშხალი გადივლის, უეჭველია ისევ წარმოსდგებიან თავისი სიმწვავით; ეგებ უფროც გამწვავებულნი.

პატარა ერებმა მეტად სიფრთხილით უნდა ასწონ-დასწონონ თავიანთი ნაბიჯები, რომ აქლემთჩხუბის დროს კოზაკებივით არ გაიჭყლიტნენ. ამიტომ არის, რომ ბულგარეთი, რუმინია, საბერძნეთი და სხ. მეტად ყოყმანობენ და ვერ ერევიან ომში, თუმცა გული ერჩით და კბილები უკაწკაწებთ ეროვნული გაღონიერებისათვის.

რაღა თქმა არის საჭირო რომ ყველა აქედან ჩვენი დასკვნაც მარტივდება:

ჩვენც, როგორც ერი, უნდა გავერთიანდეთ ასეთი გასაჭირის დროს, უნდა მივივიწყოთ კლასობრივი, წოდებრივი, პარტიული უთანხმოებანი—ეროვნების იდეის განმტკიცების წინაშე, რომ შემდეგში, როდესაც კაცობრიობა და შოშმინდება ომისაგანდა ყოველი ერი თავისი საკუთარი სახით შევა ინტერნაციონალურ ძმობაში,—ჩვენც ჩვენი საკუთარი სახე გვქონდეს და ძმებთან ძმობის გაწევა შეგვეძლოს. ჩვენ შინაგან უთანხმოებათ, რომელნიც არიან და კვლავაც იქნებიან—ჩვენვე მოვაგვარებთ იმ ბუნებრივ და ადამიანურ კანონების მიხედვით, რომელნიც ყველა ერის ფარგლებში იმოქმედებენ. მშვიდობიანობა და კაცთ-მოყვარეობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დამყარდეს ქვეყანაზე, [illegible] მოისპობა ჩაგრვა არა მარტო კლასობრივი და მატერიალური, არამედ ეროვნული და ზნეობრივიც. ინტერნაციონალის განმტკიცებაც სწორედ მოსპობაა ყოველგვარი ჩაგვრისა და სცდებიან ისინი, ვისაც ჰგონია რომ თუნდ მსოფლიო ომს შეეძლოს მოსპობა მისი. ინტერნაციონალი ერთად-ერთი ბუნებრივი და ჭეშმარიტი იდეა არის და არავითარ 42 სანტიმეტრიან ზარბაზნებს მისი დანგრევა არ შეუძლიან. გერი და ლიბკნეხტი დღეს სიშტაბით იგერიებენ ერთმანეთს, მაგრამ ხვალ, როდესაც მათი ერები უზრუნველყოფილნი იქნებიან სისკვდილისაგან, ისინი მეგობრულად ხელს გაუწვდიან და ერთს კრებაზედ—ჰაიგაში იქნება იგი თუ ბრიუსელში წინანდებურად ხმა მაღლა იტყვიან: გაუმარჯოს ინტერნაციონალს, ნაციათა სოლიდარობას. ომის წინა და უკანა საერთო კრებები იმით განსხვავდებიან მხოლოდ, რომ მოგვალ კრებაზედ ყველა პატარა ერსაც უფლება ექნება თამამად შეუერთოს თავისი ხმაც საერთო კონცერტს.

ო. ბ.

ჩვენ საუნჯეთა მორიგი საკითხი.

რა წამს საშინელების ქარიშხალმა დაბერა ჩვენს მიწა-წყალზე, ქართველ ერს მორიგ საკითხად გარდაექცა გახიზვნა, თავის შველა და საეკლესიო ნივთების დაფარვა. დამფრთხალი ხალხი არა თუ მაშინ მირბოდა, დღესაც კი სოფელ-დაბებში პანიკა ძალაში არის. ჩვენი პროვინციის კორესპონდენტები ამბობენ ჰგმობენ ამ საქციელს, ამბობ მოუწოდებენ ხალხს დამშვიდებისა და კეთილგონიერებისადმი. თვით ადმინისტრაციაც კი უძლურია შეაყენოს და როგორმე უწამლოს ამ დასაგმობ საქმეს. მაგრამ ამ ჟამად ამ საკითხის გარკვევა კი არ მაინტერესებს, არამედ უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეეხება ჩვენს საეკლესიო მუზეუმს და წმინდა ნივთების გადატანას. ჩვენ ვიცით რომ მთავრობამ წინადადება მისცა ჩვენს მესვეურთ ეს ნივთები გადაეტანათ მოსკოვში, რათა სრულიად და-

ლუპვისაგან ეხსნათ იგი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი ჩვენი ძვირფასი საეკლესიო მუზეუმი, დაუფასებელი ხელნაწერები და ისეთი ნივთები, როგორიც გელათში ან სხვა მონასტრებში მოგვეპოვება, ავიღოთ და გადავზიდოთ შიდა რუსეთში. მაგრამ რა პასუხს ვაძლევთ თვით ხალხს, რომელიც ყველა ამას მთელ საუკუნოებით სდარაჯობდა და თავის თვალის გუგასავით ინახავდა? რა პასუხს ვაძლევთ ქართველ ხალხს, ვინც ეს ნივთები თავის სალოცავ ჯვარ-ხატად აღიარა? რა პასუხს ვაძლევთ ქართველ ხალხს, რომელიც სწორედ ამ ნივთებით ჰსასოებს, სწორედ ეს ნივთები მიაჩნია თავის მცველ-ფარად? თუ მოაშორებთ მას ყველა ამას, იგი უსავანოდ რჩება. ეს იგივე იქმნება, რომ მეომარს ომის დროს ფარი ხელიდან გამოსტაცოთ. ათასი წლები მიჰქრიან რაც ქართველი ხალხი იცავდა მას და იცავს კიდეც: ათასი წლის ქარტეხილმა ვერ შესძლო ამ სიწმიდეთა განადგურება და ნუ თუ დღეს, როდესაც ქართველი ერი არა მარტო საკუთარ თავის ანაბარად არის, არამედ ისეთ მფარველის ქვეშ, როგორიც რუსეთია და რუსის მხედრობა, იმდენად წახდება, რომ ამ სიწმიდეთა დაფარვას თავისუბენში ვერ მოახერხებს? არა, ქართველ ერს რაც შეუქმნია, რაც თავისი შემონაქმედი თავის სალოცავად და მსხნელ ფარად დაუსახნია, დღესაც მის ფარ-შუბად უნდა დარჩეს, მითი ისუნთქოს, მითივე ჰსასოებდეს **საბოლოო გამარჯვებისას!** დაე, ეს აღთქმის კიდობანი მასთან ერთად დასცურავდეს ჭირსა და ლხინში და თუ დალუპვა ელის ქართველ ერს, თუ ბედს საბოლოოდ ხელი მოუწერნია მისი არსებობის მოსასპობლად, მაშინ დაილუპოს მისი სალოცავებიც: მეტად ძვირფასი რამ არის მორწმუნესათვის თვისი სალოცავის ნანგრევთა შორის დასაფლავება! ქართველი ერიც ერთი ასეთი მორწმუნეთაგ ნია. მისმა მარჯვენამ შესძლო ამ სიწმინდის არა თუ აგება, დაცვაც, მაშასადამე შესძლებს ბოლომდე მის დაფარვასაც. საქართველოს საუნჯე საქართველოშივე დარჩება და მის მფარველად ისევ გაერთიანებულ საქართველოს გული იქმნება, ვიდრე მისი ცემა არ შესწყდება საძარცვლად...

ქართლელი.

შობა ღამეს.

ათრასიონ წიკვიანური მთის შვილი იყო, ქოთაში აღზრდილი და დავეკაკებული; ბარში თითქმის არ ყოფილა, როდესაც ამ ხაფხულს მოულოდნელად ომში გაიწვიეს.

ოცდა ერთს ქრისტიშობისთვეს სარიყამიშთან პირველად მიიღო მონაწილეობა ოსმალებთან ბრძოლაში და მძიმედ დაიჭრა და სხვა დაჭრილებთან ერთად ქალაქს ჩამოიყვანეს.

სიცოცხლისა ამას აღარა [illegible]. მხოლოდ გული უცემდა სუსტად და მარჯვენა ხელი უთრთოდა შეუყენებლივ.

ლაზარეთში საკაცით მიასვენეს და იქ, როგორც გამზადებული უფლისა წინაშე წარსადგომად, ცალკე ოთახში მოათავსეს და მანამ სული იმისი სრულიად გეეყრებოდა ხორცსა, მცველად ყმაწვილი, ჯერედ სრულიად გამოუცდელი დაი სათნოებისა დაუყენეს.

— გახსოვდეთ, დაო, უთხრა ექიმმა, რომ თქვენ გაბარიათ დავრდომილი ავადმყოფი და ყური მახვილაც გქონდეთ, თუმცა ავადმყოფი უიმედოა თითქის მაგრამ ხომ ხედავთ ამის გოლიათ სხეულს და რკინასავით მაგრად ჩამოსხმულ კუნთებს, შესაძლებელია შეებრძოლოს სიკვდილს და გონს მოვიდეს, მოითხოვოს რამე, ან გაგანდოთ რამ და ყოველივე დაუბრკოლებლივ აუსრულეთ და დაიხსომეთ. და თუ გული ამისი შეჩერდეს, მარჯვენა ხელი გაშეშდეს, მაშინვე ექიმს აცნობეთ.

— ძლიერ კარგი, ბატონო, მოწიწებით მიუგო ყმაწვილმა ქალმა და გულის ფანცქალით უკან ჩამოდგა.

— ჰო! დაამატა ექიმმა გასვლის დროს— დამავიწყდა მეთქვა თქვენთვის, რომ ცოდეს ლაზარეთში შესუბუქ დაჭრილთათვის „შობის ხიკ“ გამართული დიდ დარბაზში და სუიტმა არ წაგძლიოთ და ავადმყოფს თავი არ დაანებოთ სანახაობისათვის. ათასაათზედ დღესასწაული გათავდება და ფერშალი, რომელიც ეხლა შობის ხის სამზადისშია, მოვა აქ და თქვენ გაგანთავისუფლებთ. მანამ კი დარაჯი ხართ და ფეხი არ მოიცვალოთ. ხომ გესმით თქვენი მოვალეობა?

ოთახში ბუხარი ენთო და ცვილის შუქი და მწკანე ქალალდ-ჩამოფარებული ლამპა ოდნავ ანათებდა შეწუხებულის საოცელს.

დაი სათნოებისა თვალს აჩიდებდა ლუარკად და მწვანედ განათებულ მომაკვდავის სახეს, სცდილობდა სხვა საგანზედ გადაეტანა თავისი ფიქრები და მხედველობის ისარი, მაგრამ ოთახი სრულიად ცარიელი იყო და გარშემო საშინელი სიჩუმე სუფევდა და სულთმობრძავი ულმობელად იხიდავდა ქალის ყურადღებას. შიშის ზარი თანდათან უძლიერდებოდა და მალე ჯოჯოხეთურ სატანჯველად გადაექცა.

— ღმერთო ჩემო, იესო მაცხოვარო, ეს რა განსაცდელი მოგვივლინე... როგორ უნდა გავატარო ეული სიღამე... გული მითრთის. ძარღვები მაწყდება. ვიცი რომ ავადმყოფი არის მავნებს, მაგრამ... მაგრამ კრიჭა მეკვრის... ცრუმორწმუნოებაა, სიმხდალე ჩემი — და თვალებზედ ხელებ მიფარებული ქალი, თითქმის გონება დაკარგული ფანჯრის შუშას მიეყრდნო.

„აინთე ცეცხლით გული და მტერს დაეცი ჟედგრად, ან ვით შვილი ერთგული სამეულს დაეცი ძსხვერპლად".

უცებ მოისმა გაყუჩებულ ოთახში მშვენიერი ნარნარი ხმა მომღერალის ქალისა ჩონგურის ტკბილის წკრიალთან ხმა შეწყობილი.

— ეს რა მესმის? სამოთხე გაიხსნა, თუ მოშეჩვენა რამ, გოცებით წაიტუტუნა სასომიხდილმა ქალმა და თვალებ გაჭყეტილი, ხელებ გაპყროობილი სმენად გადაიქცა.

„ნუგეშ იცემს დედაი, რომ კაცი კაცადა კვდები"— გრძელდებოდა იადონის ხმა, ჭავჭავაძის უკვდავი სიტყვები.

— ოჰ, ოჰ! მძიმეთ ამოისუნთქა დაჭრილმა და თვალები ოდნავ გაახილა. — ნანაა?

— ვინ ამბობს..... ანგელოზი...

— ვაიმე, ვაიმე! უცებ შესწივლა ამ მოულოდ-ნელის მკვდრეთით აღდგომით ხარდაცემულმა მომ-ვლელმა და კარში გავარდა.

გონს მოსული აფრიალონს ალბა სვა საკვირველება წარმოუდგა თვალწინ: [illegible] ხადღაც გაჩალებული სიკვრცეში მოსჩანდა ნაძვის ხე, ის ნაძვის ხე, რომელსაც ეს კარგად იცნობდა ძაგის მთაში, მაგრამ... ღმერთო ჩემო, რა რიგ იყო გაბრწყინვალებული ოქროს და ვერცხლის სამკაულით, უბიცევის სანთლებით გაჩირაღდნებული! მაგრამ გაკვირვებას მთის შვილისას ალარ ეცემებდა იქიდანვე მომდინარე ჰარმონიით სავსე აღფრთოვანებული სიმღერა და ნელსაცხებელივით დამატკბობელი საოცნებო მუსიკა მომხიბლავი. ყველას ამას ხედავდა გონს მოსული აფრიალონ და ნათლად კი ვერ წარმოედგინა თუ სად იყო, ან რა იყო იმის გარშემო.

— ზეცაში ვარ? ზეცაში! ჯოჯოხეთიდგან ზეცას მივალ?.. ოოფი... ზარბაზანი... სისხლი... სიკვდილი... მეც ხომ მოვკვდი? თავი გამისკდა... სამოთხეში წავიდა ჩემი სული?.. სამოთხეში! რა კარგია! თბილა, ბუხარში ცეცხლი ანთია... ანგელოზნი გალობენ, ნაძვს ვარსკვლავები ასხია... ცათ მივალ... მივალ... და ღონე მიხდილ აფრიალონს ტკბილად მიეძინა.

მკ. გაბაშვილისა.

სიმშვიდე

მისწყდა სრულიად ხმა ზარბაზნისა,
სიკვდილის სმენას რომ ააძგერებდა
და მდუმარებამ სულ მიითვისა,
რაც შურს და მტრობას მოუწოდებდა.
ერთმანეთისა ხელით მოკლულნი
მიწაზედ უხვად მიწოლნეულან,
ხოლო იმ მოკლულ მებრძოლთა სულნი
ცაში ძმებივით გადახვეულან.
სძინავს სიცოცხლის უკვდავ შემცოდეთ
და სიწყნარეა ისეთი ცაზე,
თითქო ანგელოზთ ჩასძინებოდეთ,
როგორაც ბავშვებს დედის ტკბილ ხმაზე.
არც კვნესა, ალარც სუნთქვა სიცოცხლის—
სიმშვიდე სუფევს დაურღვეველი,
ხოლო ხმაურობს მდინარე სისხლის
და მზეზე ბრწყინავს ცრემლთა ზღვა ვრცელი...

ი. მჭედლიშვილი.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲕᲚᲔᲢᲝᲜᲘ

(ზღაპარი გაგონილი აფხაზეთის მთებში).

ერთ ქვეყანაში მზე სამს წელიწადს მხოლოდ ერთხელ ამოდიოდა. დანარჩენ დროს სულ ბნელოდა.

მერე ისიც იმიტომ ამოდიოდა, რომ ბნელით მოცულ ქვეყანას ამოერჩია თავისი მეფე ამ სიბნელესთან საბრძოლველადა.

საუკუნე საუკუნეს ეკვეცებოდა, ხალხი ყოველ სამს წელს ირჩევდა მეფეს, მაგრამ სიბნელეს ვერავინ ჰფანტავდა. ზოგი ებრძოდა ერთის საშუალებით, ზოგი მეორეთი, მაგრამ... ხალხი ყოველი ახალი არჩევანის შემდეგ სინანულით იგონებდა გადაყენებულს მეფეს: ის უკეთესი იყოვო.

მაგრამ ერთს წელიწადს, როდესაც მაისის დილას ხალხი შეიკრიბა მეფის ამოსარჩევად,—იმ დღეს უნდა ამოსულიყო მზეცა--რიჟრაჟზედ ხალხმა თვალი შეასწრო ახოვან ვეჟკაცსა, თავით-ფეხამდე იარაღ ასხმულსა, რომელსაც მხრებს უმშვენებდნენ „ოქრომკედიანი“ ლალნი და თვალნი, შუბლზედ კი დიდი ალმასი ნაპერწკლებს აფრქვევდა და ამოშავალ მზის სხივებს აციმციმებდა.

— ეს არის, ესა! თვით რაინდსა ჰგავს მზისა! — შეაძახა ხალხმა და მუხლ-მოდრეკით შეეგებრა ვეჟკაცსა: იყავ უფალო ჩვენსა მეფეთა, რამეთუ შუბლზედან გიწერია განფანტვა სიბნელისა.

ვეჟკაცი დასთანხმდა, ველარ გაუძლო ხოვნას დავრდომილთა და კვერთხი აღიღო მეფისა ხელითა თვისთა.

სამს წელიწადს აგროვა მეფემ ძალნი თვისნი, აღიჭურვა იარაღითა და საჭურჭლითა ძრავლითა, რომ ერთის დაკვრით განეფანტა ბნელეთის ძალნი.

მესამე წელსა, ოდეს მოახლოვდა დღე არჩევნისა, ასტყდა ქარიშხალი და ბნელეთის უამრავი ძალა მოაწყდა წყვდიად ქვეყანისა. წინად თუ ბნელოდა, ეხლა უკუნეთი დგებოდა და ხალხი ზარმა და შიშმა აიტანა.

მაგრამ მეფე გულს არ იტეხდა. შეკრიბა ჯარი თვისი უამრავი, აასხა აბჯარ ხმალი, ფარ-შუბი დაჰფერა და... ბრძოლის ველზედ გაისტუმრა. თითონ შინ დარჩა... არავინ იცოდა რისთვისა—ეს მისი საიდუმლოება იყო მეფური...

ჯარი გმირულად იბრძოდა. სიბნელე თითქმის განფანტა, მაგრამ შინ რომ დაბრუნდა ელდა ეცა: მეფე რაინდის მაგიერ მწვანე მაგიდასთან დაჩლუნტული გუდა ღ იდო... მხრებზედ ოქრომკედი, შუბლზედ ალმასი გახლნებოდა და როცა ხელი შეახეს—შიშის ზარმა წკარუნი დაიწყო... მეფე გმირია, გმირია მეფე!

ნაცარა.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

სომეხი მოხალისენი. როგორც გაზ. „მშაკს“ ატყობინებენ, თბილისში რუმინიიდან მოსულა სომეხ მოხალისეთა ჯგუფი 190 კაცამდე. მას ბიუროსთვის მიუმართნია, საომარ ველზე გაგვზავნეთო, მაგრამ პასუხად მიუღიათ, ამას უკვე საჭიროება აღარ მოითხოვსო. ამის გამოისად ყველა მოხალისენი ფრიად უხერხულს მდგომარეობაში ჩაცვივნულან. ისინი ითხოვენ "ველას, ან საომრად წაგვიყვანეთ, ან და საქმობლოში დაგვაბრუნეთო.

—

პარასკევს, 18 იანვარს, დეპუტატთა საკრებულოში გაიმართება საღამოს 7 საათზე ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მორიგი საზოგადო კრება. რამდენიმე საორგანიზაციო საკითხის გარდა (საბჭოს ორი წევრის და ხაზინადრის არჩევა და სხვ.) გაიმართება საუბარი ქართულ მართლწერის შესახებ. მოწვეულნი არიან ქართულ დრამატიკის მცოდნე პირნი.

—

ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს თავის წევრთა და თანამგრძნობთ, რომ თანახმად მისის ბრწინვალების, მეფის მოადგილის კანცელარიის ნებართვისა, იგი აწყობს მთელს ქალაქში ფულის შემოწირულებათა მოკრების კვირას საზოგადოების სახელით—დაჭრილ მეომართათვის წმიდა ნინოს ლაზარეთში რამდენიმე საწოლის მოსაწყობად.

ვისაც ჰსურს დახმარება გაუწიოს ტფ. ქ. ქალთა საზოგადოებას ფულის მოკრების საქმეში, კეთილ ინებონ და ამ თავითვე ჩაეწერონენ შემდეგ ადგილებში:

1. საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგთან ოლიმპიადა მიქელაძესთან—მიხეილის პროსპექტი № 117.

2. გამგეობის წევრთან ოლგა ალლაძესთან—მიხეილის პრ. № 88 ბინა 3.

3. გამგეობის წევრთან ეკატერინე მაჭავარიანთან—ოლგას ქუჩა № 26.

4. გამგეობის წევრთან ლიუბა ეგაძესთან—ორაგვის ქ. № 8.

5. გამგ. წევრ. ნინო რცხილაძესთან—ყაზბეგის ქ. № 14.

6. გამგ. წევრ. ნინო დაფქვიაშვილთან—ყაზბეგის ქ. № 2.

7. გამგ. წევრ. ნინო ნეიმანთან—„სახ. ფურცლის" რედაქცია.

8. გამგ. წევრ. სოფიო გოთუასთან—მთაწმინდის ქ. № 2.

9. საზოგადოების წევრ. ქ-ნ კიკალეიშვილთან—ავლაბარი, კახეთის მოედანი, № 2.

10. გამგ. წევრ. ანნა მერკვილაძესთან—წილკნის ქ., ვერაზე, ოლლას ქუჩა, № 54—შესასვლელი წილკნის ქუჩიდან.

11. ჟურნალ „ქალის" რედაქციაში, გაბაანთ შესახვევი № 3.

—

კახეთის რკინის გზა საბოლოოდ გადაწყვეტილია გაიხსნას 14 იანვარს და მიმოსვლა დაიწყება თბილისის სადგურიდან თელავამდე.

—

ავსტრიელთა ახალი კრეისერი. რომიდან დაბეჯითებით იუწყებიან, რომ ავსტრიელებმა უკვე დაამთავრეს ახალი კრეისერი „ნავარა", რომელიც მოქმედ ფლოტს მიემატაო. ეს ამბავი მით არის საგულისხმიერო, რომ დღემდინ ავსტრიის ფლოტი ჩაკეტილი იყო ფრანგების მიერ და უმოქმედოთ იდგა. ეხლა კი მას შეძლება ეძლევა ადრიატიკის ზღვით საომარ ველზე გამოვიდეს და ხმელთა შუა ზღვაზე გასცურდეს. „ნავარა", როგორც ერთი უსწრაფესი კრეისერთაგანი დიდს სამსახურს გაუწევს ავსტრიის ფლოტს. კრეისერი მძიმე ჯავშნით არის შემოტყმული და იწყვის 3,500 ტონას.

—

ჰაერის ფლოტი ამოქმედდა. გერმანიის მტერი ინგლისის დასალუპად ეხლა ხუმრობად არ ითვლება. აქნობამდე თუ ზღვაზე წყალ ქვეშა გემებით მოქმედებდნენ, დღეს ჰაერის ფლოტმა გრაფ ცეპელინის მეთაურობით ფრიად გაბედული ნაბიჯი გადადგა და იერიში მიიტანა ინგლისის განაპირა ქალაქებზე, იარმუტსა, შერინჰამსა, კრომერსა, კინგსლეის და სანდრინჰემზე, სადაც ამჟამად ინგლისის მეფე იმყოფებოდა; ქალაქებს დიდი ზიანი მიაყენეს ნივთიერად, თუმც რაოდენობა ჯერ-ჯეროობით გამოურკვეველია. არის ადამიანთა მსხვერპლიც. ფლოტი მშვიდობიანად დაბრუნდა თავის სადგურს.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხად „კავკაზსკოე სლოვოს“

„კავკ. სლოვო“ ეკამათება ჩვენს ჟურნალს და ივიწყებს სულ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ კამათი სიმართლეზედ და ლოგიკაზედ უნდა იყოს აგებული და არა მათ მოწინააღმდეგე ცნებებზედ.

სომხის ბურჟუაზიის ორგანოს ვერ წარმოუდგენია თუ როგორ შეიძლება ადამიანი გულწვილად ებაასებოდეს გაუბედურებულ გამოქცეულ სომხებს და იმავე დროს იფიქროს თავის საკუთარ ტერიტორიის, ერის და თავის დაცვაზედ. ამიტომ მას ეჭვი შეაქვს ჩვენს გულწრფელობაში და ირონიით იხსენიებს ჩვენს „ნაციონალისტობასა“ და „ობიექტივობას“*). სომხის ბურჟუა-ნაციონალისტების ჩვეულებრივი ფანდია ესა და სულაც არ გვიკვირს ასეთი სწრაფი შეთვისება „კავკასიის ინტერნაციონალური ორგანოსაგან“ (როგორც ითვისებენ სახელს) მათივე მეთოდებისა, ვინაიდან ალბათ ისათვის საიდუმლოს არ შეადგენს „კავკ. სლოვოს“ სულის კვეთება.

მაგრამ გადავიდეთ თვით საკამათო საგანზედ თურმე ნუ იტყვით, ჩვენ ვლალატობთ ობიექტივო-

*) ბოლშევიკები „კავკ. სლოვოსა“.

ბას, როცა ვამბობთ, რომ სახელმწიფო ვალდებულია ჯერ თავის მკვიდრ მცხოვრებთ გაუმართოს ხელი და შემდეგ იზრუნოს უცხო სახელმწიფოდან გამოქცეულებზედ. მაგალითად მოჰყავს გამოქცეული პოლონელები მოსკოვში და ნიშნის მოგებით გვეუბნება: „მაშ როგორ უნდა მოვექცეთ იმათ, ამ გერმანელების შემოსევისაგან გამოქცეულებსაო?“

ამას გულუბრყვილობათ ვერ ჩავთლით, რადგან „კავკ. სლოვო“ გულუბრყვილობას სხვასაც უკიჟინებს და ამიტომ ასეთი აბრუნდი—სიყალბედ უნდა ჩავთვალოთ: **გამოქცეული პოლონელები—რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომნი არიან** და იმათ რომ **სახელმწიფომ მფარველობა გაუწიოს**—ეს მისი ვალი არის. სპარსეთიდან და ოსმალეთიდან გამოქცეულები კი **უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომნი არიან**. ეს ერთი ძირითადი და უმთავრესი განსხვავება, რომელიც დაიწყო „კავკ. სლოვომ“ და რომელსაც ჩვენ ხაზს ვუსვამდით ჩვენს ჟურნალში. განა თვით „კავკ. სლოვოს“ არ გაუკვირდებოდა, რომ პოლონელები გამორბოდნენ გერმანიიდან და ავსტრიიდან რუსეთში, როცა რუსებიც კი (უკრაინელები) არ გამორბოდნენ! ან არ გაუკვირდებოდა, თუ სახელმწიფო გაუწევდა დახმარებას? ჩვენ ძალიან ბევრი გვესმის და თანაგრძნობითაც ვეკიდებით **იმას**, რომ რუსეთის საზოგადოება დახმარებას უწევს პოლონელებს (რუსეთის ქვეშევრდომთ), მაგრამ ჩვენ ნაკლებ გვესმის ხმები ასეთ დახმარებაზედ მთავრობისაგან.

ძირითადი განსხვავება კი ამ ორ დახმარების შორის—მეტად დიდია: საზოგადოების დახმარება—დახმარებაა ჰუმანიური, ადამიანური სიყვარულით გამოწვეული ადამიანისადმი და სხვა არაფერი, მაშინ როდესაც ვერც ერთი სახელმწიფოს მთავრობა ვერ იხელმძღვანელებს ადამიანური სიყვარულით და მატერიალურ დახმარებას გაუწევს ვისმე მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით. აი სწორედ ამ პოლიტიკურ მოსაზრებათა მავნებლობაზე მიუთითებდით ჩვენ და „კავკ. სლოვოს“ ტყუილად უნებებია ამის გადაფუჩეჩება.

გარდა ამ ერთი უცნაური პარალელისა, რომელიც ვერაფრად გამოსადეგია, როგორც დავინახეთ, „კავკ. სლოვოსათვის“, მას მოჰყავს მეორეც: «დმოვსკი სწერს ვარშავის გაზეთში, რომ... ჩვენ გადავდეთ სხვა დროისათვის შინაგან საქმეების მოგვარება, ვინაიდან გვესმის რომ მტერზედ გამარჯვება ამ მომენტში—უფრო დიდი და აუცილებელი საქმეა» და ამასთან დასძენს „კ. ს.“ რომ „კლდე“ უნდა ჩაუფიქრდეს ამ სიტყვებს პოლონელი ნაციონალისტებისას, რომელთაგან კაცმა ბევრმა რამე ისწავლოსო.

ეს პარალელი უფრო მომაკვდინებელია „კავკ. სლოვოს“ პუბლიცისტებისათვის: სწორედ იმიტომ, რომ გამარჯვება დღეს უფრო დიდი და აუცილებელი საქმეა—მთელი ქართველი ჯანსაღი მანაკაცობა ვაჟკაცურად იბრძვის ბრძოლის ველზედ და „კავკ. სლოვოსთანა“ ფულიან გაზეთებისაგან არაფერი დაეყვედრება.

რაც შეეხება ამონაწერის მეორე ნახევარს,—შინაური საქმეების შესახებ—„კავკ. სლოვოს“ პარალელი აქაც უნუგეშოა: ჯერ ერთი საქართველოში, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, არასოდეს არა ყოფილა ისეთი გამწვავება ქართველ სომეხთა ურთიერთობისა, როგორც პოლონელ-ებრაელებისა და მეორეც: დღევანდელ ომში პოლონელი ებრაელები ისევე დაზარალდნენ და გარბიან თავიანთ ქვეყნიდან, როგორც თვით პოლონელები, მაშინ როდესაც საქართველოს სომხები არამც თუ არ დაზარალდნენ, პირიქით კეთდებიან და ახალ ძალას იძენენ გადმოსახლებულ სომეხთა სახით. ჩვენ არ ვიცით, რა შევითვისოთ „კავკ. სლოვოს“ რჩევით პოლონელებისაგან: სიძულვილი სომხებისადმი, როგორც პოლონელებს სძულთ ებრაელნი, თუ ის შეხედულება „შინაურ საქმეებზედ“, რომელიც მარტო მაშინ იქნებოდა ჩვენთან შესადარებელი, როდესაც **გალიციიდან და პოზნანიდან** გამოქცეულ ებრაელებზედ ექნებოდათ ლაპარაკი პოლონელებს.

პარალელი „კავკ. სლოვოს“ უფერულ წერილიდან მხოლოდ ერთია სინამდვილესთან დაახლოებული, რომ პოლონელ-ებრაელთა და სომეხ-ქართველთა ურთი-ერთობა **საზოგადოთ** დიდ მსგავსებას წარმოადგენს, განსხვავება მხოლოდ ერთია: ებრაელებს მხოლოდ ეკონომიური ინტერესები აქვთ პოლონეთში და სომხები კი პოლიტიკურ ინტერესებსაც ეძებენ საქართველოში.

ამაზედ შემდეგ.

ქართული ეროვნული ჩაცმულობა

(ქართულ დროშების გამო*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) ქუდი ტყავისა, მაღალი, ძაბრის ნაირი, წვეროზე წათლილი და შიგ წვეტათ ფერადი ხავერდის **ყალამ** ამოშვერილი, წოდებული, ბუხრის ქუდათ, ან წიწაკა ქუდი.

თავადაზნაურობა და მდიდარი მოქალაქენი ძვირფას კალმუხისას ხმაროობდნენ, ხოლო ღარიბი მოქალაქენი და გლეხობა უბრალო ბატკნისას, ფერი მარტო შავი. ხმარების მანერაშიც განსხვავება იყო: გლეხობა და მოქალაქენი რომ ქუდს მარტივად ზეზეურად აწეულს ხმაროობდნენ, თავად-აზნაურობა-კი გვერდზე ჩაეკეცილს, ამის გარდა გლეხობა მერე სარკველივით რგვალს ქუდს ხმაროობდა სახელად „განიბარდი“. ხმარებაში იყო აგრედვე ხევსურული ქუდი: რგვალი ტყავისა ბანჯგვლიანი და ძირი ფერადი მაუდისა. მთაში ხმაროობდნენ და ახლაც ხმაროობენ უბრალო მეცხვარეულ ქუდს, ხოლო ახლანდელ საყოველთაო თუშურ ნაბდის ქუდს ორივენ ხმაროობდა, ბავშვებიც კი. და მისი შემოღებისა და გავრცელების ამბავს ქვევით ვიტყვით.

6) ზამთარში, კაბის ქვეშ, მასზე მოკლე და ბალუხზე გძელი, ქულაჯა: შალისა, მაუდისა, ხავერდისა, ჭირმანიშალისა, ბუზმენტ ან ბეწვ შემოვლებული. სახელოები მოკლე, გაწყობილი იდაყვ ცოტა ქვევით.

7) ზამთარშივე: დოშლუყი, ბამბით დალიანდაგებული სათბური გულისა პირი. იხმარებოდა გარედ და სამგზავროდ.

8) გზაში და სიცივეში, ყელზე მოიხვევდნენ აბრეშუმის ფერადს, სახიანს ხელსახოცს ჩით-მერდინად წოდებული.

9) ჭამარი ქართული, ღილებ აწყობილი, არც ძალიან განიერი, არც წვრილი, ან სარტყელი.

10) ხმალი ქართულ-აზიური და არა ლეკურ-კავკასიური, ხოლო სპორსები და მეტადრე არაბთურქები ნამეტან მოკაკვილს ხმაროობდნენ, ხოლო ქართველები ზომიერად მოხრილს, გორდას ან ხორასანს, მთაში კიდევ „ფრანგულს“.

11) ხანჯალი, არც ისე დიდი როგორც ლეკების და არც ისე წვრილი და სუსტი როგორც ბოლოს შემოიღეს, არამედ საშუალო სიგძის პტყელი პირისა და სრული ტარისა.

12) ნაბადი, მოკლე და გძელ ბეწვიანი, ტყავი და ტყაპუჭი.

ზემოდ ჩამოთვლილი ნაწილები ეროვნულ ტანთ-საცმელისა, შეადგენდნენ იმ ჩაცმულობას, რომელსაც ჩვენი წინაპრები საყოველთაოდ ხმაროობდნენ XVIII და XIX საუკუნის ნახევრამდე.

თუმცა საქართველომ პოლიტიკური თავისუფლება მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს დაკარგა, ამისდამიუხედავათ ეროვნული ელფერი იქამდე შერჩა, ვიდრე ძველი, საუკუნოებრივი სოციალური წყობილება ჩვენი ქვეყნისა არ დაირღვა 1864 წლის დიდებული აქტით.

ამ აქტმა ძირამდე შეარყია საზოგადოებრივი წყობილება. მუქთა შრომას მოკლებული თავადაზნაურობა გაღარიბდა. ძვირფას ქართულ ჩაცმისთვის წელი აღარ მოსდევდა, და იწყო ნელი-ნელ იაფ ჩერქეზულ ჩოხის შემოღება. მაგრამ, რასაკვირველია, არა უცბად. ყველაზე უწინ ივი გამოეთხოვა მაუდის ყურთმაჯიან კაბას და შეაკერვინა ისევ ქართულ ფასონზე, ჩვეულებრივი სახელოიანი შალის ჩოხა. კაბა რომ 40—70 მანათამდე უჯდებოდა, ჩერქეზული 15—30 მანათამდე. შემდეგ მოკლე ჩოხა დაუგძელეს და გაუკეთეს მასრები, ეს პროცესი დაჩქარა მრავლად შემოსულმა ამერეთში იმერლობამ, რომელმაც უფრო ადრე შემოიღო ჩერქეზული ჩაცმულობა. იგივე ბედი ეწვია ყარაბაღულ ჩექმებს. ჩოხის შემდეგ ძვირფასმა ქართულმა ბუხრის ქუდმაც დაუთმო ადგილი უფრო იაფ ჩერქეზულს ფაფახს, თუმცა დღესაც ათასში ერთს მოხუცს შეხვდებით, რომ ეხუროს ვაჟკაცურად გვერდზე ჩატეხილი ქართული ქუდი, ალბად მამის ნაქონი. ახალუხმა ყველაზე დიდხანს გაუძლო მეტოქეობა ჩერქეზულს, და დღეს გლეხობაში იგი თითქმის საკვლებით არის დაცული, რასაკვირველია ეუიშოდ. ზევითაც მქონდა მოხსენებული რომ გლეხობამ კინტოების გავლენით თვისი ქართული ჩოხა დაანახინჯა: წელი (ტალია) ბეჭებზე აიტანა და დღეს მაგასაც თავი დაანება. ახლა საინტერესოა გავიგოთ საიდან გახდა ქართულ-ხალხურ ჩაცმულობის აუცი-

*) იხ. „ცდა“ № 40 1915 წ.

ლებელ ატრიბუტათ თუშური ნაბდის ქუდი და რუ-სული შინელი, ერთის მხრივ, ხოლო წითელ-ყვითელი ქულაჯა მეორეს მხრივ. ის ქულაჯა რომელსაც ზამთარში კაბის ქვეშ სათბურად იცვამდნენ, რასაც ამოწმებს ძისი ბეწ-მეძოვლება.

1831 წლიდან რუსეთმა დაღისტანს სისტემატიური ბრძოლა დაუწყეს: ჩრდილოეთიდან რომ რუსის ჯარი აწვებოდა, სამხრეთიდან გაიბეს ეგრეთ წოდებული „ლეკის კორდონი" თუ ბეთიდან ზაქათალამდე. ამ ლეკის „კორდონზე", ქართული ძალიგე ჯარი მსახურობდა, რადგანაც ეს მოითხოვდა და ძალიან ალ ჯარის შედგენილობის შეცვლა ხელს უშლიდა ჯარის კაცთა სათანადო გაწვრთვნას, აგრეთვე ის გარემოება, რომ მორიგე გლეხები ხოგი ვერ იყო რიგიანად ჩაცმული, ზოგს კიდევ იარაღი არ უვარგოდა—მთავრობამ გადაწყვიტა ხალხს ჯარის ბეგარა ახსნას და სამაგიეროდ დაეარსა მოხალისეთაგან ქართული ქვეითი დრუჟინა (Первая пѣшая грузинская дружина—Джар), რომელიც შესდგებოდა ძირეულად კახელებისა, თუშებისა და ინგილოებისაგან. ეს მოხალისენი ძალიან ეწყვეს პოლკის წესზე: მისცეს სახაზინო იარაღი და ჩაცმულობა. და აი აქ დაიწყო შეხამება სახაზინო ინტერესისა—რაც შეიძლება იაფად, და ქართულ ეროვნულ ტანისამოსისა: ჩააცვეს ჩოხა, რომლის ქართულობა მხოლოდ მისი სიმოკლე თუ იყო და არ ვიცით რა ძოსახვრეთით დაარქვეს ძას ქულაჯა.

შარვალი, პაიჯ-ქალამანი და საცვეთები იგივ დასტოვეს. ჯერი მიდგა ქუდზე: ქართული ბუხრის ქუდი, რაც გინდა იაფი ძასალისაგან გაკეთდეს, მაინ ამ ბანათ ხაკლებ არ დაჯდებოდა და ხაფხული მიაც ძვირე სატარეველი იყო, ამ დროს-კი იქვე ძყოფ თუშების ნაბდის ქუდები ჯდებოდა რაღაც ორ შაურად. თქმა არ უნდა რომ თუშური ნაბდის ქუდი მეძოლებული იქმა ახლად დაარსებულ დრუჟინაში და გაძოცხადებულ იქმა სრულიად ქართველთა ეროვნულ

ასახლოვად. ნაბდის ძაგივრადაც, ძისის სიძვირისა და უხერხულობისა გამო, შეძოიღეს „შინელი".

თუშური ნაბდის ქუდი და რუსული შინელი დრუჟინიდან ხალხში გავრცელდა და თავის დეძოკრატობის წყალობით გადალახა საზღვარი ქართლ-კახეთისა, დასავლეთით რაჭაში და სამხრეთით ერევნის გუბერნიის სომხებში.

ხოლო იმ დროის მოდის შემქმნელ კონტროლის წყალობით თუშური ქუდიც დაძახინჯდა: იგი ბანდათან იქამდე შეგაპატარავეს, რომ კინკრიხოხე რალაც სასწაულით დამაგრებულს, კაცი მას ძლივს ამჩნევს და ეგონია რომ მისი პატრონი უქუდოთ დაიარება. ოსეთ თუშური ქუდი ნორმალურ კაცის თავის ზომას მაგიერ ერთ ბუქალ გადიქცა—„ბრიჩოხკაც" უნდა გამოცვლილიყო [illegible] ზედ გადაბარეხნილა და გარს რგვლივ [illegible] მაგიერ—წინ უზარმაზარ ქოჩრის გაშვება დასჭირდათ, ოდგან კინკრიხოხე რომ ვითომდა ქუდი ხურავთ წინ მზისა და სიცივისაგან ქოჩორმა მაინც უნდა დაიფაროს. აი ისტორია ახლანდელის ნაბდის ქუდისა.

განვიხილოთ ახლა, თუ ქვეშიდან ზამთარში ჩასაცმელი სათბური-ქულაჯა როგორ გამოცხადდა ოფიციალ-ეროვნულ საცმელად.

1856 წ. იმპერატორ ალექსანდრე მეორემ თვისი ამალის (конвой) ნახევარი, სახელდობრ—ერთი ესკადრონი ანუ ოთხი „ეზოდი" შეადგინა კავკასიელთაგან: ერთი ქართველ წარჩინებულთაგან, მეორე წარჩინებულ მთიელთაგან (ჩერქეზი, ჩეჩენი, ოსი) მესამე წარჩინებულ ლეკთაგან და მეოთხე ეზოდი თათრების ხანებისა და ბეგებისაგან 1861 წ. კავკასიელთა ესკადრონი გაუქმეს რადგან ძლიერ ძვირად ჯდებოდა და დღევანდლამდე მარტო კახეთ-კებისაგან შესდგება.

აღსანიშნავია ის რომ: მთიელები რომ ჩერქეზულად იყვნენ გამოწყობილნი ამ „კანონიერში", თათრები და ლეკები ქართულ კაბებში გამოეწყვნენ. ეს ადვილი გასაგებია, რადგან თათრები და ლეკები საქართველოს დიდ კულტურულ გავლენის ქვეშ იყვნენ, მეტადრე ის პროვინციები, რომელთაც მეფის კართან რაიმე დამოკიდებულობა ჰქონდათ (ერევნისა და განჯის სახანოები, ბორჩალო, ყაზახ-შამშადილი, ქარ-ბელაქნისა და დიდო-აწუბის ლეკები და სხვა) იმ დროის თათრებსა და ლეკებში, რომელნიც ძველად მეფის კარზე მსახურებდნენ ყოველივე ქართული, განათლებისა და კულტურის ხიშხად იყო მიღებული: ეს გავლენა გაგრძელდა მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე. ამ დროამდე კავკასიის ადმინისტრაცია მთლად ქართველების ხელში იყო, და ამის გამო ამ ხალხებშიაც კიდევ პატივი და გავლენა ჰქონდათ. თბილისში ნამყოფი შუშელი ან ერევნელი სომხის ქალი, ქართულად თავს დაიხურავდა და ასეთს ქალს პატივისცემით ეძახდნენ „ქალგაი"—ქალაქში ნამყოფი. რა თქმა უნდა საქართველოს ქალაქების მოქალაქენი (თბილისისა, თელავისა, გორისა და ცხინვალისა) ეროვნების განურჩევლად თათრები, სომხები და

ურიები, ყველანი ქართულ ყურთმაჯიან კაბაში იყვნენ ჩაცმულნი.

მაშინ, როგორც ახლა პეტროგრადში, არსებობდა ერთგვარი საშხედრო კომისია, რომლის დანიშნულება—ჯარისათვის ახალ-ახალი ფორმისა, ნიშნებისა და ფერების გამოგონება იყო. ეს კომისია სავსებით ვერ დაკმაყოფილდა კავკასიელთა მეტად ორიგინალურ და ვაკაციურ ჩაცმულობით; მისის აზრით კავკასიელთა ესკადრონი, რომლის დანიშნულება იყო ევროპიელთა თვალის მოჭრა, მეტად თალხად იყო მორთული, და აი ბევრი თათბირის შემდეგ დაადგინეს „პარადებზე“ კაბები დახადონ და ფერად ქულაჯების ამარა გაუშვან, რაიც ჩვენმა ახალგაზრდებმა სიხარულით მიიღეს იქაურ მშვენიერთა გულის ასატეკად. ამ გვარად ქულაჯა პირველად გამოცხადდა ზედა ჩასაცმელად. რასაც ჩვენი ახალგაზრდობა აქ შინ ვერ გაბედავდა, იქ მორს გაბედეს და ბჭყვრიალა სათბურის ამარა „აიწყეს“ გარეულ და პარადებზე სიარული.

1871 წ. რომ იმპერატორი მობრძანდა საქართველოში, მის დასახვედრად „პაჩოტნი კარაულ“-ში რასაკვირველია ისევ თვალის მოსაჭრელად ქულაჯებით მოირთენ და პეტერბურგის საშხედრო კომისიის ფანტაზიის ნაყოფი დამტკიცდა ქართულ ეროვნულ კოსტუმად. ამ კოსტუმის პოპულიარიზაცია თავს იდვეს ქართული ენისა და ისტორიის ამ მცოდნე ჩვენმა არტისტებმა, მომღერალთა გუნდებმა, შემდეგმა „პაჩოტნი კარაულებმა“ და სხვა ამ გვარმა ხელოვნურმა საზოგადოებებმა. მათ მიბაძეს მათსავით ქართულის მცოდნე წიგნის გამომცემლებმა, რომელნიც თვის ილიუსტრაციებში ქართველს ან ქულაჯითა ხატავდნენ ან ჩერქეზულად. მხოლოდ გოგებაშვილის „იავ ნანა“-ში და ქართველ ქალთა მიერ გამოცემულ ზღაპრების მეორე წიგნში არიან ქართველები ან გმირები გამოსახულნი თავის ნამდვილ ისტორიულ ქართულ ჩაცმულობაში. ეს იმით აიხსნება რომ ხსენებული წიგნები იმ დროს დაიბეჭდნენ, როცა თვით ცხოვრებაში ჯერ კიდევ სჭარბობდა ქართული ჩაცმა და არა ჩერქეზული ქულაჯური. როგორც ნიმუში ქართული ჩაცმულობისა იხილე ქართულ ტუზეუმში სურათი № 44—ნინიკა ჯანდიერისა. № 64—კონა ერისთავისა. № 356—ალბუა მოქალაქისა. № 76—იანგულის საჩანდრის გუნდი. და როგორც ტიპი უწინდელ მოქალაქის და საკუთრივ მოქალაქე ურიის—ქანდაკება ხალაროვიჩისა „ცხენვალური ურია“.

ვინმე სოფლელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მევრეების გასაჭირი.

საზოგადოებას მოეხსენება თუ როგორ გაძვირდა ფქვილი ქალაქში, მაგრამ ბევრმა ამის ნამდვილი მიზეზი არ იცის. დღეს ყველაფერი გაძვირდა და როდესაც იკითხავთ მიზეზს, მაშინვე გეტყვიან—ომის ბრალი არისო. მაგრამ ომი თუ კაპიტალობით აძვირებს საქონელს, ვაჭრები ერთი ათად სარგებლობენ ამ გაძვირებით და თავისი მხრით 100 და 200 % უმატებენ. ესეთი თავშეუკავებელი ექსპლუატაცია მოამხმარებლისა ყოველთვის მოხდება ხოლმე, როდესაც კი ცხოვრებას როგორიმე განსაცდელი მოელის. ესე იყო 1905—6 წლებში, ასევე ეხლა, ასევეა ყველა სხვა ქვეყნებშიაც, რადგან ვაჭრული ფსიხოლოგია ყველგან ერთნაირია, რადგან მათი გაუმაძღრობა ყველასაგან ცნობილია. აი სწორედ ამ გაუმაძღრობის ასალაგმავად არსებობენ სხვა და სხვა საადმინისტრაციო და საზოგადო დაწესებულებანი, რომელნიც ვალდებულნი არიან საათანადო ზომები მიიღონ. აი მაგალითად მევურეების გასაჭირს ეს შეადგენს რომ მსხვილი მოვაჭრენი ფქვილით, სარგებლობენ დროებით გზის შეფერხებით და ულმერთოდ სწევენ ფქვილის ფასს. ტომარა ფქვილზედ დღეს 2—3 და 4 მანეთსაც უმატებენ და ვაგონებით რომ ჩამოაქვთ პირდაპირ სადგურზედვე 300 400 და 500 მანეთს ზედმეტს ახდევინებენ მყიდველებს. მყიდველები რაღა თქმა უნდა იძულებულნი არიან დაემორჩილონ ამ ყარცვაგლეჯას, ვინაიდან თბილისში ფქვილი ძნელი საშოვნელი გახდა. ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას ვისაც ჯერ არს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, რადგან ასეთს უმართებულებას შეიძლება ისედაც გაუწვავებული მდგომარეობა—ბედ შეტად გააწვავოს და პური უფრო გააძვიროს; რისაგანაც უმთავრესად იხარჯლებს მდაბიო ხალხი, პირველი მომხმარებელი პურისა. საჭიროა მეორე მხრით რომ თვით მევურეებმა მოახერხონ პირდაპირ ფქვილის გამოწერა რუსეთიდან და ამას. ვგონებთ, დახმარებას გაუწევს ყველი დაწესებულება. ესეთი ამხანა-

გობა, საზოგადოება, თუ სხვა რამ დაწესებულება დიდათ შეუწყობდა ხელს პურის ბაზრის მოგვარებას და რეგულიატორის როლს ითამაშებდა. რამდენადაც ვიცით, ასეთი ამხანაგობის ჩანასახი უკვე არსებობს და ყველა დაწესებულება მოვალეა ხელი გაუმართოს კეთილ დაწყებაში.

X.

ძველი თქმულება.

არავინ იცის, როდის მოხდა; ძალიან დიდიხნის ამბავი უნდა იყოს.

ერთ ოჯახს ქალი დაებადა: ვინც კი ნახა, ყველამ ისა სთქვა: ქვეყნის მარადიული იქნებაო.

ასეც მოხდა.

ქალი წამოიზარდა და ისე კალამაზდა, რომ სახელად „მზისა“ დაუძახეს.

როდესაც მზისა იცინოდა, ბირიდან ია და ვარდი სცვიოდა, როცა მზისა კარგად კამოდიოდა, მთელი ბუნება სიხარულით ეგებებოდა: ხეები აყვავებულიათ თავს უქნევდნენ და ჩრდილში იწყვევდნენ, ეკალეები მოლტხვად ულიმოდნენ და გულდრეკილ უკმეედნენ, მწვანე ბალახი სიამოვნებით ფეხთ ეგებოდა და სუბუქი სიო თავს ეკვლებოდა, კაცთურებული ლომი სტხრებოდა და კბილის კაკუნზე კმაყოფილებით ტოტსა სცემდა.

ვინც მზისას ჭვრეტდა, თავის თავს ბედნიერად სთვლიდა და შეჭვარტლოდა; ცდილობდა ქალის გული მოეგო და მიესაკუთრებინა. მაგრამ სულ ამაოთ: მზისას გულში ყველასთვის ადგილი ჰქონდა, არავის არ ჩუოდა, ყველას ერთნაირად ახარებდა.

ხალხს მზისას მითვისების სურვილი გაუძლიერდა და ტიდობას შეექნა. ამის კამო უფალი კარისხდა და ქალი ქვეყანას მოაშორა. ერთ ადგილას ძალიან, ძალიან მაღალი, შავი მიუვალი სალი კლდე ადმართა, ისეთი მაღალი, რომ ადამიანის თვალი ძალსა სწვდებოდა, ზედ მარმარილოს კოშკი აკეთა და მზისა შიგ ჩასვა. ხალხმა წამოაღლო წერაქვს ხელი და კლდეს ცემა დაუწყო, უნდოდა დანგრია, მაგრამ ვერას კახდა. კლდემ წერაქვი არ მიიკარა.—მზისა კოშკიდან ყველაფერს ამას ჭვრეტდა და თავლებიდან კუკური ცრემლი სდიოდა: ხალხი ენანებოდა, მაგრამ უფალს ურჩობას ვერ უწყვეტდა და კოშკიდან არ ჩამოდიოდა. ქალის ცრემლი ხან მარგალიტად ეკიდებოდა შავ კლდეზე, ხან კლდის ძირას ეცემოდა და თეთრ ყვავილად იშლებოდა. ხალხი ცდილობდა მარგალიტების ჩამოგლეჯას, მაგრამ შავი კლდე ხელებს უსერავდა, ხალხი ცდილობდა ყვავილების მოწყვეტას, მაგრამ ყვავილებს კარშემო ნარეკალი ეკვლებოდა და ეკვლას ხელებს უგუზავდა.

ხალხმა დაინახა თავის შეცდომა, მაგრამ გვიანდა იყო: ველარაფერი ეშველებოდარა.

გავარა ცოტა დრომ, შავი კლდის კარშემო ულრიანი ტყე გაჩნდა და მთლად დამალა მზისა თავის კოშკითა.

ხალხი ძალიან დადონდა. ბევრმა ვერ მოითმინა, ატირდა და ცხარე ცრემლით შეისუბუქა დარდი, ზოგმა საგმირო საქმეებს გაუოდა გული, ზოგმა ქნარი აიღო და ამაში ნახა შვება: რაც კი სევდა მოაწვებოდა, ცრემლის მაგიერ სევდიან ამბებს ათრქვევდა. ამან კი, ვისაც ვერც ტირილი შეეძლო, ვერც გმირობა, ვერც ქნარის აღებრება ბოდმისაგან თავი მოიკლა.

ჩვენ დროში როცა კაცს ეულზე ლოდიეთ კამოურკვეველი სევდა მოაწვება ხოლმე, ეს—თურმე მზისას დარდობს და მაშინ ან ტირის, ან საგმირო საქმეებს იდგამს, ან ქნარს აღებრებს, ან კიდევ თუ ვერც ერთი ვერ შეეძლიან, თავს იკლავს.

ინ-ბანი.

„ქალი გრძნეული“

ა. შანშიაშვილისა.

ქართულ კლუბის დარბაზში 4 ივნ. ქართ. დრ. საზ. მიერ გამართული იქმნა საღიტერატურო დიდა, რომელზედაც ჩვენმა ახალგაზდა მგოსანმა ა. შანშიაშვილმა თავისი ახალი დრამატიული ზოგმა წაიკითხა „ქალი გრძნეული“. ზოგმის მინაარსი შემდეგია: ცხრა მთის იქით სცხოვრობს „ქალი გრძნეული“, რომლის სიღამაზის ხმა შორს გასულა. ყველანი ოცნებ მისი ხელში ჩაგდება, მაგრამ ოდნავ მიკარებაა საკმარი, რომ ქალის ხიდვამ და ერთმა კოცნამ მოსული მოაჭკალა. მისი მშვენების ამბავი ადუმალის ხმით შეესმის მგოსან ჭინგოს. ძოგვადებული კეკლუცი სახასიათით თავგამოდებით იგი გადაწყვეტს მის დასაკუთრებას. ამ ამბავს იგი შეატყობინებს ძმებს, გმირს და ბრძენს. ესენი უშლიან წასვლას, მაგრამ ჭინგოს გარდაწყვეტილება გადაჭრილია. საძნიგ მიდიან

გრძნეული ქალის დასაშურობად. ჯვარედინ გზაზე ერთ-მანეთის დაშორდებიან ამ ბიჭობაო, რომ შემდეგ ერთ-ურთის ამბავი ამ ადგილზევე მეეტეობინონ. ჩანგო ბიჭ-ველი მიაგნებს ბრიდის კოშკს. ძრეო, გრძნეული ქალი, მიიდებს მას, მოაჯადოვებს და ბიჭვედ კოტნაზეგე შეას-მენს „სიკვდილის მუსიკას“, ამ ხმუბით მიბნედილი ჩან-გო ჭვრძობს საშინელებას, მაგრამ მისთვის სიკვდილი მაინც ტკბილია, რადგან ეს ხდება მისი „სტრიოალო“ საგნისთვის. შემდეგ მოდის გმირი. სეფმიბრძავ ძმის დასახვაზე წაიშენს თავში, მაგრამ გრძნეულ არა თუ დაშიშინებს მას, ბიჭიქეთ, ძმასაც კი მოაგლეგინებს, როგორც მის მეტოქეს. შემდეგ ჯილდოთ ალეურსს აკუთვნებს და იმავე „სიკვდილის მუსიკას“ შეასმენს, რითაც ჩანგოს ბედი იქმნა გადაწყვეტილი. გმირი კვდება. შემოდის მე-სამე ძმა, ბრძენი. აქ იმართება ბრძოლა გონებისა და ვნებისა. ერთხანად ვნება იმარჯვებს, აგერ ბრძენი მოი-ხიბლა, ესეც მზად არის დაეგონის და სიკვდილზე ხელი მოაწერინა, მაგრამ ქალთან მიახლოვება და გრძნეულ ტუ-ჩების დანახვა მას გაახსენებს დახოცილ ძმებს, წყევლა და კრულვეთ მოაწყვეტს ქალს და გაჭრიდება. დამარ-ცხებული ძრეო იმით ინუგეშებს თავს, რომ „წახვალ, მაგრამ ისევ მოხვალთ, როგორც დღემდე მოდიოდეს ჩემთანო“.

ასეთი ფერადებითაა გადმოცემული ჩვენი მგოსნის ახალი ბოემა, რომლის კვლავაც ერთგვარი ჩრდი-ლი მიაყენა თვით ავტორმა გაბმული და ფრიად მოხიტ-ბური კითხვით. წაკითხვის შემდგომ ი. გედევანიშვი-ლის თუ მკდომარეობით გაამართა ბასი ბოემის ავ-კარ-გიანობაზე. ბიჭვედად ბ-ნ ჯაჯანაშვილმა აიდო სიტყვა და სხვათა შორის ის აზრი გამოთქვა, რომ ბოემას სქესთა დამოუკიდებლობის გარეშე ბრძოლის გა-დაწყვეტა აკლია. თვით ძრეო, მისი აზრით, უბრალო მეძავი ქალია და მეტი არაფერი. მაშასადამე, ბრძენის გამარჯვება ამაზე ეს მნიშვნელოვნად ფერმაში ჩამოაყალიბებ-ს ფრიად დიდმნიშვნელოვანი ბრძოლისა და ავტორიც მიზანს მიტომ ვერ აღწევსო.

დ. კასრაძემ მოკლედ ის შეჩიშნა, რომ ბოემის ავტორმა ეს ალიდი ბრძოლა „სქესის განთავისუფლე-ბისა“, რომელიც თავმაი სახით წამოაყენა თვის წინა-დელ ბოემაში „მედეა და მშვენიერი ელენე“, მეტად მდარე სახით განმარტა დღეს, უდალატა ერთხელვე აღ-ბულ აღდგის და ჩვეულებრივ მოთავდის წინ „წამოიჩო-ქია“.

ბ. ანდრონიკაშვილის სიტყვის განვითარება ვერ მოასწრო, რომ თავყოფმარის შენიშვნისათვისვე ტრიბუნა მიატოვა.

საინტერესო სიტყვის წარმოთქვა გრ. რობაქიძემ, მაგრამ ეგი უფრო საინტერესო იქმნებოდა, რომ თეალი ცხრა მეათედი ელდინთა ლიტერატურის კარჩვეის ხაცვ-ლად უფრო მანიშვილის ბოემაზე დაესწრო. საზოგა-დოდ ლამაზი და შინაარსიანი შეწყობილი თვალთით მისი სიტყვა ბევრად კეთილი გამოწვეულ ჩვენ მკითხველს ბოემა-ზე. მისი აზრით, ყველა ენერგიას არ ძალუძს შეგლავ ქალ-ღმერთის სურვილის და მის ვნების დაკმაყოფილება, ამიტომაა ქალი მამაკაცების დამღუბველი. შ—ბვილის ბოემა სულიერ ეუხნიკურად, მისი თვალით ყურ არის იმმანენ-ტური თანდათანობით განვითარებული, რაც თუ სქესის ბრძოლაშია განვითარებული. იგი სიტიკად ეპყრობა მგო-სნს და ალიშრავს, რომ „მანიშვილი ძლიერია მაშინ, როდესაც ელდინთა მიერ უკვე განვითარებულ მასალას ეხება, ხოლო ფრიად უძლური, როდესაც საკუთარ თვინ-ტასიაის“ და შემოქმედების სფეროში რჩებაო.

მ. წულუკიძემ მიუთითა მანიშვილის შემოქმედე-ბის „მოდერ“ ადგილის ხასიათის. მოიწონა თვით ბოემ-ის ფორმა.

შ. მარგაშიძემ ალიშნა ბოემის სიდამაზე, მისი მსატვრული დამუშავება, ოღონდ უმთავრეს მოქმედ ბრ-ძი—ძნეოში იგი ჩხედავს რასკენს, ვნებით შეპყრობილ ყინიან ქალს.

უკანასკნელად იალაბარაკა ს. დადიანმა. მისი აზრით სქესის ბრძოლაში ეძეი გარჩეულია და დარვინიზმის თა-ნახმად მეცნიერულად გადაჭრილი. თუ ამ ბრძოლაზე ჟვლაკ ბრძოლად ვიხილეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ სა-ცალურ წესწყობილობების ბრძოლებია მიზეზი და მას-თან ბოეტ-მსატვრების ფანტაზიის დაუდგრომლობა.

საუბრის დასასრულს თავჯდომარე ი. გედევანი-შვილმა მადლობა გადუხადა როგორც დამსწრე საზოგა-დოებას, ისე დიდის ზომიზეზე ა. მანიშვილს...

დიოკენი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲚᲐ

1915 წ.

ᲥᲝᲛᲔᲚᲒᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲕᲚᲓᲔ“-ᲖᲔᲓ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲝᲗᲐᲮᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲛᲐᲜ., ᲔᲥᲕᲡᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲫᲘ ᲛᲐᲜ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲥᲝᲛᲔᲚᲒᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ“

ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲚᲐ 1915 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲒᲐᲮᲓᲘᲡ ᲦᲘᲠᲡ 1 ᲬᲚᲘᲗ—2 ᲛᲐᲜ. 50 ᲙᲐᲞ., ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲗ —1 ᲛᲐᲜ. 25 ᲙᲐᲞ., ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲗ 25 ᲙᲐᲞ. ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲛᲔᲢᲘ. ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: Тифлисъ, Типографія „Сорапанъ“ ᲐᲜ ᲨᲐᲓᲠᲔᲕᲐᲜᲘ. ᲧᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ: Тифлисъ, Типографія „Сорапанъ“ **Александру Г. Мумладзе.**

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲨᲔᲛᲔᲓᲔᲕᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲐᲠ. Შ. ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ № 1.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ